დავით ტვილდიანის

სამედიცინო უნივერსიტეტი

მართვის ეფექტურობის მონიტორინგის მექანიზმი და შეფასების სისტემა

მართვის ეფექტურობის მონიტორინგის მექანიზმი და შეფასების სისტემა

მართვის ეფექტიანობის (შემდგომში მონიტორინგი) მიზანია - მმართველობითი საქმიანობის კოორდინაცია დტსუ-ს წინაშე მდგარი ყველა (სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული) მიზნის განსახორციელებლად.

მონიტორინგის <u>ფუნქციებია</u>:

- ✓ მმართველობითი საქმიანობის კოორდინაციის ხელშეწყობა დტსუ-ს ყველა მიზნის განსახორციელებლად
- ✓ მმართველობითი გადაწყვეტილებებისთვის საჭირო ინფორმაციული და საკონსულტაციო მხარდაჭერა
- ✓ მართვის პროცესის უზრუნველყოფისთვის სათანადო ინფორმაციული სისტემის შექმნა
- ✓ რაციონალური მართვის ხელშეწყობა

მონიტორინგის <u>ამოცანებია</u>:

- ✓ უნივერსიტეტის სტრატეგიული დაგეგმვის განვითარება
- ✓ საქმიანობის სუსტი და ძლერი მხარეების ანალიზი
- ✓ შიდა და გარე ცვლილებებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის სტრატეგიული მიზნების დაზუსტება და შესრულების უზრუნველყოფა
- ✓ ჩატარებული მუშაობის მოსალოდნელი და ფაქტიური შედეგების სისტემური შედარება
- ✓ კორექტირების მიზნით ღონისძიებების დაგეგმვა და გატარება

მონიტორინგის მექანიზმი და შეფასების სისტემა

მონიტორინგის მექანიზმი და შეფასების სისტემა მონიტორინგის მიზნებიდან, ფუნქციებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე მექანიზმი დტსუ-ში მოიაზრება როგორც თვითრეგულაციის მექანიზმი, რომელიც მართვის პროცესში უკუკავშირს უზრუნველყოფს.

მონიტორინგის და მისი შეფასების ინსტრუმენტები

- ✓ სამოქმედო გეგმის (ასევე სამოქმედო გეგმის შესაბამისად გაწერილი სამუშაო გეგმის) შესრულებაზე მონიტორინგის არსებული მექანიზმი (იხ. ასევე დანართი „სამოქმედო გეგმა“)
- ✓ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შიდა-თვითშეფასებისთვის არსებული მექანიზმი
- ✓ სტრატეგიული განვითრების კომიტეტის ანგარიშები
- ✓ ადმინისტრაციული პერსონალის განვითრების გეგმები და შესრულების ანგარიშები

- ✓ ნორმატიული დოკუმენტებით განსაზღვრული და ფაქტიური შედეგების შედარების ანალიზი
- ✓ კონტროლის სისტემა: მონაცემები დისციპლინაზე, ინიციატივასა და საქმიან თვისებებზე
- ✓ კვლევები მართვის ეფექტურობის მონიტორინგის არსებული მექანიზმების (ჩართული სტრუქტურები, მონიტორინგის და შეფასების ინსტრუმენტები)

შესწავლის და განვითარების მიზნით: დტსუ-ში საკითხთან მიმართებაში არსებული მდგომარეობა და არსებული საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზი